19
დეკემბერი

ოთხშაბათი,
1962 წ.
№ 248 (2097)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

დღეს ნომერში:

- ევროპას არა სჯერა
- არის ოსტატის ნორმა
- საქართველოში მძლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის
- გვეკითხებიან, ვუპასუხებთ — ლასლო პაპი

საჭადრაკო ჩემპიონატები

რიგა

როგორც წესი, ტურნირის დასვენითი, მე-19 ტურის წინ, ქალთა XXII ჩემპიონატზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ზატულოვსკაიამ ორივე გადადებული პარტია ფილანოვსკაიასთან და ნახიმოვსკაიასთან ყაიმით დაამთავრა. მისი კონკურენტი ვოლპერტი დამარცხდა ბორისენკოსთან, თუმცა შემდეგ მოუგო ანდრეევას. ზვორიკინამ დაამარცხა კაკაბაძე. კუშნირმა მოუგო ბელავენეცს და ფილანოვსკაიას. ყაიმით დამთავრდა ჩაიკოვსკაია-ბიშარდის, იაკირ-კაზმინას პარტიები.

მე-18 ტურის შემდეგ წინ არიან ტ. ზატულოვსკაია (12,5 ქულა), ა. კუშნირი და ლ. ვოლპერტი (12 ქულა თვითეულს), კ. ზვორიკინა (11,5 ქულა), ლ. იაკირი და ს. როოტარე (10,5 ქულა თვითეულს), ა. ჩაიკოვსკაია და ე. ბიშარდი (10 ქულა თვითეულს), ვ. ბორისენკო და ზ. ნახიმოვსკაია (9,5 ქულა თვითეულს), ე. კაკაბაძე, ო. ანდრეევა (9 ქულა თვითეულს).

ო. კრუმინში.

ტელეფონით.

ერევანი

XXX ჩემპიონატის დასვენხი, XIX ტურის წინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება.

არონინმა ორი გამარჯვება მოიპოვა — კოცთან და კროგიუსთან. შტეინმა მოუგო ა. ზაიცევს. ყაიმით დამთავრდა ხოდოს-შიანოვსკისა და კორჩნოი-სუეტინის პარტიები. ხოლმოვი თამაშის განუახლებლად დანებდა სპასკის.

მიუხედავად იმისა, რომ გრძელდებოდა მხოლოდ ერთი, ნოვოპაშინ-ტალის გამოტოვებული პარტია, დარბაზი მაინც სავსე იყო მაყურებლებით. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ ერევნელებმა შეიყვარეს ტალის საინტერესო თამაში, არამედ იმითაც, რომ ტალს შანსი აქვს მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში ოქროს მედლისათვის.

ტალი მეთოდურად მიჰყავდა პარტია. ცენტრში გამსვლელი პაიკის შექმნით მან მოგების შანსები მიიღო, მაგრამ პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო.

18 დეკემბერს ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ, მაგრამ ტალს მოუხდა ორი გადადებული პარტიის დამთავრება.

XIX ტურის წინ ვ. კორჩნოის 13,5 ქულა აქვს, მ. ტაიმანოვსა და რ. ხოლმოვს — 12,5 ქულა თვითეულს, მ. ტალს — 11 ქულა და 2 გადადებული პარტია.

დღეს განახლდება ტურნირი

დღეს თბილისსა და ლენინგრადში იწყება კალათბურთელთა საკავშირო შეჯიბრების პირველი ეტაპის დასკვნითი შეხვედრები.

თბილისის ტურში ერთმანეთს შეხვდებიან „ა“ და „ბ“ ქვეჯგუფების გუნდები, კერძოდ კი: „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „ჟალგირისი“ (კაუნასი), „დინამო“ (თბილისი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), სკიფი (ფრუნზე), „ტაჯიკისტანი“ (დუშანბე), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), ცსკა (მოსკოვი), „კალევი“ (ტარტუ), „სპარტაკი“ (მინსკი), „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი), „ბურევესტნიკი“ (ოდესა).

ლენინგრადის ტურში ითამაშებენ „გ“ და „დ“ ქვეჯგუფების შემდეგი კოლექტივები: სკა (კიევი), „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა), სკა (რიგა), „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი), „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი), „დინამო“ (მოსკოვი), „სტროიტელი“ (კიევი), სკა (ლენინგრადი), ვეფ (რიგა), „ინჟდორსტროი“ (კიშინიოვი), სკიფი (ბაქო), სკა (ტაშკენტი).

ქვემოდ მოგვყავს გუნდების მდგომარეობა 5 კალენდარული ტურის შემდეგ.

პირველი ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ურალმაში“ სვერდ.	5	5	0	5
ცსკა	5	4	1	4
„სპარტაკი“ ლდ.	5	4	1	4
„ჟალგირისი“ კნ.	5	4	1	4
„დინამო“ თბ.	5	3	2	3
„ბურევესტნიკი“ თბ.	5	3	2	3
„კალევი“ ტარტუ	5	3	2	3
„სპარტაკი“ მინსკი	5	2	3	2
„ბურევესტნიკი“ მოსკოვი	5	1	4	1
სკიფი ფრუნზე	5	1	4	1
„ბურევესტნიკი“ ოდესა	5	0	5	0
„ტაჯიკისტანი“ დუშანბე	5	0	5	0

მეორე ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„სტროიტელი“ კიევი	5	5	0	5
სკა კიევი	5	5	0	5
სკა ლენინგრადი	5	4	1	4
ვეფ რიგა	5	3	2	3
„ბურ“. ალმა-ატა	5	3	2	3
სკა რიგა	5	3	2	3
„ინჟდორსტროი“ კიშ.	5	2	3	2
„ბურევესტნიკი“ ლდ.	5	2	3	2
„კიბირკშტისი“ ვილ.	5	2	3	2
სკიფი ბაქო	5	1	4	1
„დინამო“ მოსკოვი	5	0	5	0
სკა ტაშკენტი	5	0	5	0

თბილისისა და ლენინგრადის ტურის გუნდებში პირველ 6 ადგილზე გამოსული [illegible] (სულ 12 გუნდი) შექმნიან ფინალურ ჯგუფს. [illegible] (სხვადასხვა ქალაქებში) სპეციალური კალენდრის მიხედვით 15 თებერვლიდან 30 მარტამდე გათამაშდება უძლიერესის სახელი.

საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდების ტურნირი (მას ზამთრის საკავშირო ტურნირსაც უწოდებენ) არ გამოავლენს 1963 წლის ჩემპიონს კალათბურთში. ეს ტიტული გათამაშდება საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე. მაგრამ ზამთრის საკავშირო შეჯიბრებას მაინც აქვს თავისი ინტერესი. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ გამარჯვებული გუნდი მოიპოვებს ევროპის ჩემპიონთა თასის მორიგ გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას.

არმიელი ძალოსნები უძლიერესნი არიან

ტალინში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ძალოსნობაში სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის. თუ პირველი ადგილისათვის ბრძოლის ბედი შეჯიბრების დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე გადაწყდა არმიელთა სასარგებლოდ, მეორე-მესამე ადგილების მფლობელები გამოავლინა მხოლოდ უკანასკნელმა დღემ.

ქვემძიმე წონაში „სპარტაკის“ გუნდს მეტად საჭირო ქულა მისცა უკრაინელმა ძალოსანმა ე. ბროვკომ. მისი შედეგი სამჭიდის ჯამში — 462,5 კგ საუკეთესო გამოდგა.

არმიის ნაკრები გუნდის წარმატებას კიდევ უფრო განამტკიცა სვერდლოვსკელმა ოსტატმა რ. შეიერმანმა, მან 475 კილოგრამით პირველი ადგილი დაისაკუთრა პირველ მძიმე წონაში.

მეორე მძიმე წონაში შეჯიბრება ერთნაირი შედეგით დაამთავრეს არმიელმა ვ. პოლიაკოვმა და „ტრუდის“ წარმომადგენელმა ა. მედვედევმა—592,5 კილოგრამი. მაგრამ გამარჯვებულად აღიარებულ იქნა ვ. პოლიაკოვი, რომელიც თავის მეტოქეზე უფრო მსუბუქი გამოდგა.

გასულ წელს გუნდური ჩემპიონატის პრიზიორები იყვნენ „ტრუდის“, „სპარტაკისა“ და საბჭოთა არმიის ძალოსნები. პირველობა ამჯერადაც ამ სამ გუნდს შორის გათამაშდა. საბჭოთა კავშირის 1962 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა არმიის ნაკრებმა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა „სპარტაკი“, ხოლო მესამეზე — გასული წლის ჩემპიონი — „ტრუდი“.

ბადმინტონი ძალაში შედის

სპორტის ისეთი ახალი სახეობა, როგორიცაა ბადმინტონი, მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენს ქვეყანაში. ახლა მას თამაშობენ თითქმის ყველა რესპუბლიკაში, დიდ ქალაქებში, ჰყავთ გუნდები, ძლიერი სპორტსმენები. ამ სახეობაში საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრების ჩატარება განზრახულია მომავალი წლის სექტემბერში მოსკოვში და ვარაუდობენ, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს ყველა მოძმე რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები.

სპორტის ამ სახეობის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ დღეებში მოსკოვში გამართულ სამატჩო შეხვედრებში, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო 8 გუნდს, შედარებით მეტმა გამოთქვა ძალთა გამოცდის სურვილი. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ტურნირზე დაუშვეს ყველაზე უკეთ მომზადებული მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, აზერბაიჯანის, ბელორუსიისა და სხვათა კოლექტივები.

I-II ადგილებისათვის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და რსფსრ-ს გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 6:5 გაიმარჯვეს მოსკოველებმა. მესამე ადგილი მოიპოვა ლენინგრადის გუნდმა, რომელმაც დაამარცხა უკრაინის კოლექტივი.



სურათებზე: მარცხნივ — მოსკოვის ჩემპიონი ბადმინტონში ვ. დემშიცი და ლენინგრადელი ვ. ლიფშიცი (მარჯვნივ) თამაშის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

უკანასკნელი რეპეტიციები

მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტები გულმოდგინედ ემზადებიან ჩემპიონატისათვის, რომელიც სულ მალე უნდა დაიწყოს. ამ მიზნით ეწყობა საერთაშორისო შეხვედრათა მთელი სერიები, სადაც ეროვნული ნაკრები გუნდები ცდიან თავიანთ ძალებს.

მოსკოვში, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის საციგურაოზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდსა და ახალგაზრდულ ნაკრებს შორის. მატჩი დამთავრდა პირველთა სასარგებლოდ—2:1. ამ შეხვედრის შემდეგ ჩვენი გუნდი ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრა პრაღაში, სადაც გამართავს ორ მატჩს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან.

აღსანიშნავია, რომ ამ დღეებში ჩეხი ჰოკეისტები ნორვეგიაში შეხვდნენ ადგილობრივ სპორტსმენებს. ბრძოლა მოიგეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა — 8:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეუფლოთ შუბის ტყორცნის რაციონალურ ტექნიკას



◆

მწვრთნელთა დასახმარებლად

◆

ცნობილია, რომ შუბის ტყორცნა ტექნიკურად ძნელი სახეობაა. შუბის წონა საშუალებას იძლევა გაიტყორცნოს დიდი სისწრაფით, თუ, რა თქმა უნდა, მტყორცნელი ფლობს სათანადო მონაცემებსა და მომზადებას. ამასთან ერთად, იარაღის ფორმა და მასზე სიმძიმის ცენტრის განლაგება (დაახლოებით შუბის ტარის შუაში) იარაღზე სწორ ძალმიყენებისათვის წარმოადგენს დიდ სიძნელეს. გარდა ამისა, ტექნიკის ძნელ ელემენტს წარმოადგენს სწორი გადასვლა გამორბენიდან ტყორცნაზე, იარაღის მდგომარეობაზე კონტროლის გაწევა.

შუბის ტყორცნა წარმოებს სწორხაზობრივი გამორბენისას, იგი სრულდება თანაბარ-აჩქარებულად და ტყორცნის მომენტში შეუჩერებლივ. გამორბენი, რომლის სიგრძე 25-30 მეტრია, პირობითად იყოფა ორ ნაწილად. გამორბენის პირველ ნაწილს ეწოდება მოსამზადებელი, სადაც მტყორცნელი გამორბენს ასრულებს თანაბარ-აჩქარებულად. გამორბენის ამ ნაწილში მტყორცნელს შუბი უჭირავს მხარს ზევით. გამორბენის პირველი ნაწილის დამთავრების ადგილზე მტყორცნელს აქვს პირობითი საკონტროლო აღნიშვნა, რაზედაც საქართველოს რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი ხ. დაოვი (რეკორდი 76 მ, 46 სმ) დგამს არა მარცხენა, არამედ მარჯვენა ფეხს და ტყორცნის არა ხუთი, არამედ ექვსი სატყორცნი ნაბიჯიდან.

1-ლ კადრზე ფიქსირებულია იარაღის ჩამოტოვების პირველადი მოძრაობა, როცა საკონტროლო აღნიშვნას ხვდება მარჯვენა ფეხი. ხ. დაოვი გამორბენს ასრულებს სწრაფად და თავისუფალი მოძრაობით წინ გააქვს იარაღი, მტყორცნელი ხელის თავისუფლად წინ გატანა მას საშუალებას აძლევს არ შეანელოს გამორბენის ტემპი (კადრები 2-3).

მეორე ნაბიჯს ხ. დაოვი ასრულებს თავისუფლად, ამასთან ოდნავ აბრუნებს მხრებს მარჯვნივ და ოდნავ სტოვებს იარაღიან ხელს, ამავე დროს თითქოს ასრულებს მოქნევს იარაღიანი ხელის უკან-მარჯვნივ ჩამოტოვებით (კადრები 4-5).

მესამე ნაბიჯის შესრულების დროს ხ. დაოვი მთლიანად ბრუნდება მხრებით მარჯვნივ, ხელს უარამდე მართავს მხრის პარალელურად (კადრები 6-7).

მეოთხე — „ჯვარედინა ნაბიჯს" (მარჯვენა ფეხის კადრები 8-9) დაოვი ასრულებს აქცენტურად (ოდნავ წახტომისებური ნაბიჯი), რის დროსაც ცდილობს არ მოაბრუნოს მენჯი მარჯვნივ, რაც საშუალებას აძლევს მარჯვენა ფეხის წვივი ასწიოს მაღლა და ტერფი გრუნტზე დადგას გამორბენის სწორი ხაზის ოდნავ მარჯვნივ 30-გრადუსიანი კუთხით. ამ მომენტში მტყორცნელი უკან ტოვებს იარაღიან ხელს მარჯვნივ, შორს საყრდენი მარჯვენა ფეხიდან და მარცხენა ხელით რაც შეიძლება მეტად ხურავს შუბიან ხელს. „ჯვარედინა" ანუ მეოთხე ნაბიჯში მარჯვენა ფეხის წვივის მაღლა აწევით ხ. დაოვი ცდილობს მარცხენა ფეხი სწრაფად გამოიტანოს წინ და დადგას გამორბენის სწორ ხაზზე, პირდაპირ (კადრები 9-10).

დგამს თუ არა მარცხენა ფეხს გრუნტზე, მტყორცნელი ცდილობს იარაღს გაუსწროს მენჯით, მარჯვენა ფეხის სწრაფი გამართვით და მარცხენა ფეხის მუხრუჭისებური დადგმით, რაც იწვევს იარაღიანი ხელის უკან ჩამოტოვებას და მტყორცნელი მოჰყავს „დაჭიმული შვილდის" მდგომარეობაში (კადრები 11-12), რის შემდეგ ხელის მათრახისებური მოქნევით ამთავრებს შუბის გაშვებას (კადრი 13). უნდა აღვნიშნოთ, რომ ხ. დაოვი ცდილობს კონტროლი გაუწიოს იარაღს და მხედველობით აცილებს გაშვებას, რის შემდეგ ასრულებს მეექვსე ნაბიჯს თავშეკავების მიზნით (კადრი 14).

ზემოთაღწერილი ტექნიკა — შუბის ჩამოტოვება და ტყორცნა ექვს სატყორცნ ნაბიჯში საყურადღებოა და სასურველია შეისწავლონ და დახვეწონ შუბის მტყორცნელებმა, რაც საშუალებას მოგვცემს უახლოეს პერიოდში მივაღწიოთ მაღალ შედეგებს.

ნ. ლოგუაშიძე,

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

მოჭიდავეთა ტექნიკუმი

...ახლადჩარიცხულთა და უფროსკლასელთა შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ქართულ ჭიდაობას დაეთმო. ქომაგები თავიანთ ფალავნებს აგულიანებენ. ს. წნორიაშვილმა მოწინააღმდეგეს ხელი ჩამოართვა და ნაბიჯით ნახევარი წრე შემოხაზა, შემდეგ თვალის დახამხამებაში „საბილოს" წელში ეცა და ზურნის ხმაც შეწყდა. ძირს გაშხლართულმა ჰერს მიაბჯინა თვალები. გაიმარჯვა, გაიმარჯვა! — იქუხა მაყურებელმა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი ახალბედა კი არა, უკვე პირველთანრიგოსანი მოჭიდავე იყო. სოსომ მალე ქართული ჭიდაობის სექციის შეფობა იკისრა და ახლა წარმატებით ართმევს თავს მინდობილ საქმეს.

ქვემო მაჩხაანის ზოოვეტერინალურ ტექნიკუმში კახეთის სხვადასხვა რაიონების ახალგაზრდები სწავლობენ და მათთვის ჭიდაობის არცოდნა სირცხვილადაც ითვლება. ამიტომაცაა, რომ სპორტის ეს სახეობა აქ ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. სხვადასხვა მხრიდან მოსულებს ყველას აქვს ჭიდაობის თავისებური მანერა და ამ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ. ქართული ჭიდაობის სექციის გარდა, აქ მუშაობს კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სექციებიც, რომელთაც ხელმძღვანელობენ პირველთანრიგოსნები ნ. ზედგენიძე და ი. ალადაშვილი.

წელს ტექნიკუმში 10 თანრიგოსანი მოჭიდავე გამოვლინდა, ნაკრები გუნდი კი რაიონის ჩემპიონი გახდა. გასულ ზაფხულში რესპუბლიკის ტექნიკუმებს შორის (მონაწილეობდა 30 გუნდი) გამართულ ასპარეზობაში ქვემომაჩხაანელმა ფრენბურთელებმა მეხუთე ადგილი დაიკავეს.

თ. სანდერაშვილი

შიდასაკოლექტივო

8 დეკემბერს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სოლანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყებამ ჩაატარა შეჯიბრება სპორტის ოთხ სახეობაში: 100 და 60 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ყუმბარის ტყორცნაში. სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 40-მდე სპორტსმენმა.

პირველად ბრძოლაში ჩაებნენ ყუმბარის მტყორცნელები. ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია ჯაგრისების საამქროს მუშამ კ. ხუბაშვილმა. მან ყუმბარა ტყორცნა 38,8 მეტრზე.

სიგრძეზე ხტომაში ყველაზე უძლიერესი აღმოჩნდა ჯაგრისების საამქროს მუშა ი. მანგასარიანი. 100 მ რბენაში ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა კერამიკული საამქროს მუშამ ნ. მირონოვმა. 60 მ რბენაში ფინიშთან პირველი მივიდა ხის დამმუშავებელი საამქროს მოწინავე მუშა რ. ბერუაშვილი, ნ. მირონოვის დროა 15,8, ხოლო რ. ბერუაშვილისა 9,2 წამი.

გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და ამავე საწარმოში დამზადებული ფასიანი საჩუქრები.

გ. მგალობლიშვილი

კორესპონდენტები გვატყობინებენ

გორი

ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა გორის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრება ჩატარდა ორ ქვეჯგუფში. ასპარეზობაში, რომელმაც სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მონაწილეობდნენ ბამბეულის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, პედინსტიტუტის, ადგილმრეწველობის, ავტოსატრანსპორტო კანტორის, სპორტული სკოლისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა ნაკრები კოლექტივები, სულ 13 გუნდი.

პირველი ჯგუფის გუნდებს შორის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც ფინალურ მატჩში მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა ბამბეულის კომბინატის ნაკრები და I ადგილი მოიპოვა. სტუდენტებს ერთი ქულით ჩამორჩნენ ავტოსატრანსპორტო კანტორისა და ბამბეულის კომბინატის ფეხბურთელები, ეს უკანასკნელნი კი ბურთების უკეთესი სხვაობით აღმოჩნდნენ მეორე ადგილზე. მეორე ჯგუფში კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა ბამბეულის კომბინატმა (II ნაკრები), რომელმაც ძლიერად ჩაატარა ყველა შეხვედრა და დაიკავა პირველი ადგილი.

• • •

დამთავრდა ქალაქის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს კ. ნოზაძემ, კ. პავლიაშვილმა, შ. სულეიმანიშვილმა, ო. აწკარუნაშვილმა, ო. ომაძემ, ს. ქარქიშვილმა, ო. ქიბროწაშვილმა, ვ. ზერეკიძემ.

• • •

ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის სპორტთამაშობათა დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა რაიონის პირველობა კალათბურთში მოსწავლეთა შორის. გათამაშება მიეძღვნა საბჭოთა კონსტიტუციის დღეს. ქალთა შორის შეჯიბრება კარგად ჩაატარა სოფელ ზეღდულეთის მოსწავლეთა გუნდმა, რომელმაც მოიგო ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავა. 11 გუნდი ეცილებოდა პირველობას ჭაბუკთა შორის. აქ ყველაზე ძლიერი იყო სოფელ ხელთუბნის გუნდი, რომელსაც გადაეცა რაიონის სპორტკავშირის პრიზი.

გ. გოზალიშვილი

ცაგერი

ამ დღეებში ცაგერში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცაგერის რაისაბჭოს სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამა ითვალისწინებდა შეჯიბრებებს ფრენბურთში, ჭადრაკსა და ტყვიით სროლაში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეხვედრებმა ფრენბურთში, სადაც პირველი ადგილი მოიპოვეს განათლების მუშაკთა პროფკავშირის ფრენბურთელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდი. ჭადრაკსა და ტყვიით სროლაშიც გუნდური პირველი ადგილები განათლების მუშაკთა პროფკავშირის გუნდებმა დაიკავეს, რითაც უზრუნველყვეს სპარტაკიადაზე საერთო გუნდური პირველი ადგილის და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" გარდამავალი თასის მოპოვება. მეორე ადგილზე გამოვიდა ავტოსატრანსპორტო კანტორის ფიზკულტურული კოლექტივი.

• • •

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიკომმა ჩაატარა რაიონის საშუალო და შვიდწლიანი სკოლების მასწავლებელთა ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადა. მონაწილეობდა 9 სკოლის გუნდი. ფრენბურთში პირველ ადგილზე გამოვიდა ლასურიაშის საშუალო სკოლის მასწავლებელთა გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა ცაგერის საშუალო სკოლის გუნდმა. სროლასა და ჭადრაკში პირველ ადგილზე ცაგერის საშუალო სკოლის გუნდები გამოვიდნენ, მეორეზე კი ჩხეტულის საშუალო სკოლის პედაგოგები. სპარტაკიადაზე საერთო გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა მოიპოვა.

• • •

ჩატარდა ტურნირი რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაზე. ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის პირველი ადგილი ლაილაშის საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა გუნდმა დაიკავა, ხოლო გოგონათა შორის გამარჯვებას მიაღწია და პირველი ადგილი დაისაკუთრა ლასურიაშის საშუალო სკოლის გუნდმა.

გ. ხვადაგიანი

კორესპონდენტები გვატყობინებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



არის ოსტატის ნორმა

პრესაში ხშირად ვხვდებოდით საგანგაშო სიგნალებს რესპუბლიკაში დელფინის სტილით ცურვაში დაბალი მაჩვენებლების თაობაზე. ახლა მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა, რასაც ცხადყოფს თბილისში ჩატარებული შეჯიბრება — „ღია სტარტი“.

სპორტის მოყვარულები სპორტის ოსტატ ბ. ნიკიტინს იცნობენ, როგორც საუკეთესო კროლისტს, მაგრამ იგი ზოგჯერ ძალებს ცდის სხვა სახეობებშიც და წარმატებითაც. მან განსაკუთრებით ისახელა თავი მიმდინარე წლის გაზაფხულზე, როცა კომპლექსურ ცურვაში დაამყარა სსრ კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდი.

ამჯერად ბ. ნიკიტინმა დელფინის სტილით ცურვაში სტარტი აიღო 200 მეტრზე. დასაწყისი კარგი იყო: 50 მეტრი მან გაცურა 33 წამში, 100 მ — 1.08,5 წუთში და ბოლომდე შეძლო ტემპის შენარჩუნება. ფინიშთან წამზომებმა აღნიშნეს ოსტატის შედეგი — 2.27,1. ეს 6 წამით აღემატება ძველ რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც ა. იურჩენკოს ეკუთვნოდა.

ამავე სტილით 100 მეტრზე წარმატებას მიაღწია ნ. უმერენკომ (მწვრთნელი თ. იორდანიშვილი), ეს სპორტსმენი არაერთხელ იყო ახლოს ოსტატის ზღვართან, ამჯერად კი აჩვენა 1.04,5, შეასრულა ოსტატობა და 1 წამით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

ქალთა შორის კარგად გამოვიდა ე. ღიბრაძე, რომელმაც 100 მ დელფინით 1.19,5 წუთში გაცურა. თუ მის მწვრთნელს ა. საფრონოვს დავუჯერებთ, ე. ღიბრაძე მოკლე ხანში აჩვენებს ოსტატის ნორმას 200 მეტრზე.

ამ დღეს „დაიბადა“ კიდევ ერთი ოსტატი, ესაა ე. ვოიტკევიჩი, რომელმაც 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 58,5 წამი (მწვრთნელი შ. მუსასტიკოვი).

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ნ. ჰუმბაძის მაჩვენებელი გოგონათა შორის 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში — 1.21,2. შეჯიბრება „ღია სტარტზე“ გაიმართება მომავალ კვირასაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნაჩვენები იქნება კიდევ რამდენიმე მაღალი შედეგი.

ბ. კამენსკი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათებზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შ. მუსასტიკოვი სპორტის ოსტატის ნორმის შესრულებას ულოცავს თავის აღსაზრდელს ე. ვოიტკევიჩს — მარცხნივ. სპორტის ოსტატი ბ. ნიკიტინი დისტანციაზე — მარჯვნივ.

საქართველოში მძლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის

რბენა

რბენა ადრეულ პერიოდში ცნობილი ყოფილა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე არსებულ ბერძნულ კოლონიებში: ოლბიაში, პანტიკაპეიში, ხერსონესში, გორგიპიიში. რბენის არსებობის დამადასტურებელია ქ. ხერსონესში ნაპოვნი ეპიგრაფიკული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია შეჯიბრება რბენაში. წარწერა მიეკუთვნება ჩვენს ერამდე მეორე საუკუნეს. ასევე ოლვიაში ნაპოვნ მარმარილოს ფუძეზე, რომელიც ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეს მიეკუთვნება, ამოკვეთილია წარწერა, რომ ნიკოდრომმა, დიონისეს შვილმა, რომელიც გიმნაზიარხის თანამდებობას ასრულებდა, დადგა ეს წარწერა რბენაში შვილის გამარჯვების აღსანიშნავად.

გრძელ მანძილზე რბენაში შეჯიბრების არსებობის უტყუარ ცნობას გვაწვდის გორგიპიის აგონისტიკური კატალოგი. 1895 წლის გაზაფხულში ძველი გორგიპიის (ახლანდელი ანაპის) ტერიტორიაზე იპოვნეს თეთრი მარმარილოს ოთხკუთხედი დაფა, მის ორივე გვერდზე (ა და ბ გვერდებზე) ორ სვეტად მოთავსებულია სიები სახელისა და მამის სახელის აღნიშვნით ბერძნული დაწერილობით. კატალოგი სათანადო გამოკვლევით გამოქვეყნებულია ვ. ლატიშევის მიერ სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის 1895 წლის მარტის ნომერში. ძეგლს ლატიშევი ათარიღებს ჩვ. ერამდე მესამე საუკუნის პირველი ნახევრით. დაფის პირველ გვერდზე ორ სვეტად მოთავსებულია გამარჯვებულთა სია. იგი იწყება დასათაურებით, რომელსაც ორი სტრიქონი უჭირავს და იკითხება: „ქვემოთ ჩამოთვლილმა პირებმა გამარჯვება მოიპოვეს ჰერმესის დღესასწაულზე გრძელ მანძილზე რბენაში“ და შეიცავს 51 სახელსა და მამის სახელს. ლატიშევი აღნიშნავს, რომ სიებში დასახელებულთა დიდი უმრავლესობა ბერძნებია, მაგრამ კატალოგში ვხვდებით არაბერძნული წარმოშობის სახელებსაც. ასე მაგალითად, ექვსი გამარჯვებულის სახელი სკვითური და სინდური სახელებია, სხვა თოთხმეტს ეს სახელები მამის სახელებად აქვთ. ამას გარდა, ოთხ შემთხვევაში ვხვდებით ისეთ პირებს, რომელთა მამის სახელები შედგენილია „სინდისაგან“. ლატიშევის აზრით, ეს სახელები მეზობელი ტომებიდან გამოსულ სკვითებსა და სინდებს ეკუთვნით.

იმავე გორგიპიის აგონისტიკური კატალოგიდან ჩანს, რომ ჰერმესის დღესასწაულზე გამართულ აგონისტიკურ შეჯიბრებაში გრძელ მანძილზე რბენაში მონაწილეობა მიუღიათ სკვითებისა და სინდების წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს წარმომადგენლებსაც. გრძელ მანძილზე რბენაში გამარჯვებულთა სიაში შეტანილია კრატინოს, კუტატიონოს და ზოსიმ მოსხიონოს სახელები.

ლატიშევს შეუდარებია კატალოგში შეტანილი სახელები ბერძნული სახელებისათვის და მიუთითებს რამდენიმე არაბერძნული წარმოშობის სახელზე, მათ შორის, „კუტატიონოსზე“. ამ შემთხვევაში კუტატისი იგივე ქუთაისი უნდა იყოს, ამ სახელწოდებით იხსენიებს მას აპ. როდოსელი „არგონავტებში“. ასევე ზოსიმ მოსხიონოს წარმოებული უნდა იყოს შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთა ეთნიკური სახელწოდებისაგან. „მოსხი“ — აფხაზეთში მცხოვრებთა ძველი ქართული ტომების საერთო ეთნიკური სახელწოდება ყოფილა, როგორც ამას ანტიკური ხანის წყაროები ადასტურებენ.

საქართველოს წარმომადგენლების მიერ პირველობის რამდენჯერმე მოპოვება, რასაც ადასტურებს გორგიპიის აგონისტიკურ კატალოგში მათი რამდენჯერმე მოხსენება, მიუთითებს იმ პერიოდის საქართველოში მაღალ სპორტულ კულტურაზე და, კერძოდ, გრძელ მანძილზე რბენაში განსაკუთრებულ დახელოვნებაზე, რომ საქართველოში ძველთაგანვე უნდა არსებულიყო ფიზიკურ ვარჯიშთა ცალკეულ სახეობებში (კერძოდ რბენაში) სისტემატური, მიზანდასახული და თანმიმდევრული წვრთნა. ამ მხრივ მეტად ძვირფას მასალას გვაწვდის ამ საკითხისათვის აპოლონ როდოსელი „არგონავტებში“, ა. როდოსელი აღწერს რა არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლას, წერს: „არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა, კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენას და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე“.

ძველი ქართული ენის ძეგლებში რბენა სხვადასხვა სიტყვითაა აღნიშნული, ბასილ ზარზმელი მას „სრბას“ უწოდებს, თამარ მეფის ისტორიკოსი — „მკვირცხლსა“ და „ფეხით მალობას“, არჩილი — „ფეხთმსუბუქობას“ და სხვ.

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალი (V საუკუნე) დახელოვნებული მორბენალიც ყოფილა, რომელსაც, მისი გადმოცემით, შეჰურვილს ქვეითად ირმის დაწევა შეეძლო, „რომელ ჰურვილი ქვეითი ირემს მეეწიის“. თამარ მეფის ისტორიკოსი, რომლის ცნობები ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით მეტად სანდო წყაროს წარმოადგენს, საგანგებოდ ეხება დავით სოსლანის „მკვირცხლობას“. „მკვირცხლი“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ეს არს ქუცი, ფრკივ მავალი“. „მკვირცხლობით“, დავით სოსლანი, იმავე ისტორიკოსის ცნობით, ისევე როგორც მშვილდოსნობით, ცხენოსნობითა და ასპარეზობით სჯობნიდა არა მარტო მასთან ერთად მომეცადინე მოვარჯიშეებსა და მასწავლებელს, არამედ სხვა ქვეყნიდან ჩამოსულთაც, მოგვყავს მთლიანად ჩვენთვის ეს მეტად საინტერესო ცნობა ისტორიკოსისა დავითის შესახებ: „ესე დავით წელიწადისა მოქცევამდის ესრეთ წაემჯობინა ყველასა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მკვირცხელსა და მოასპარეზესა, მწიგნობარსა ყოველ ნასწავლთა და ხელთა სიკეთითა, ვითა დღეს ჩანს, რომელ შინა ვინ ყოფილა ამისა მასწავლებელი და მოსწავლე და თუ გარეთა ქვეყნათა მოსრულა, ვერავინ გამოჩენილა მისებრი“.

ცნობა საყურადღებოა იმითაც, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეობებში და მათ შორის „მკვირცხლობაში“ არსებულა სპეციალური წვრთნა-სწავლება, რისთვისაც ჰყოლიათ სპეციალური მასწავლებელი.

თამარ მეფის მომდევნო ისტორიკოსიც, ჟამთა აღმწერელი, რომელსაც ეკუთვნის საქართველოს ისტორია ლაშა გიორგის გამეფებიდან გიორგი ბრწყინვალეს გამეფებამდე, საგანგებოდ აღნიშნავს დავით რუსუდანის-ძის „ფერხითა მალობას“. ჟამთა აღმწერლით დავით რუსუდანის-ძე ყოფილა „ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა ჰაეროვან, მშვენიერ და თმითა თხელ, ფერხითა მალ, მონადირე რჩეული და კეთილად მსვრელი ნადირთა, ენა ტკბილ და სიტყვიერ, უხვ და მდაბალი, ცხენსა ზედა მხნე“.

არჩილს რბენაში დახელოვნება „კარგ ზნე-საქციელებში“ შეაქვს, რომელიც ძველთაგანვე გამოსაყენებელი და სასარგებლო ყოფილა: „ის უწინცა ვარგებულა ხელ-ფეხი და ქვეითობა“, „ხელფიცხმან“ კაცმან ხელბუკსა ასალებელი აასწროს, ფეხით მსუბუქმან ფეხმძიმეს დგენაზედ ადვილ წაასწროს“.

„დგენა ორთა სამჯობინართა გამოცდაა“, განმარტავს სულხან-საბა, მაშასადამე, შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საჭიროა „ფეხით მსუბუქობა“, ე. ი. სისწრაფე.

არჩილისათვის ცნობილი ყოფილა, რომ გამარჯვების მოპოვებისათვის არაა საკმარისი „ფეხით მსუბუქობა“, რომ მისთვის საჭიროა აგრეთვე გამძლეობის გამომუშავება, რათა მორბენალს ფეხი არ მოელალოს, როგორც თვით არჩილი აღნიშნავს, ფეხი არ „მოეკვეთოს“.

„ფერხნი არ ვარგა ასეთი,
სადაგინდ წაეკვეთოდეს,
ასეთს რაზედმე წავიდეს, იმ
საქმით მოეკვეთოდეს“.
„ფერხთა დიდება ეს არის,
ფიცხობდეს, მერმე მალობდეს,
მალ მიაშუროს კარგ საქმეს და
ავსა დაემალოდეს“.

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ რბენა ადრეული პერიოდიდანვე მეფეთა და წარჩინებულთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა საქართველოში. რბენა უფრო ფართოდ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დაბალი წოდების წარმომადგენელთა ფიზიკური აღზრდის საქმეშიც. მდაბიოთათვის, როგორც წყაროებიდან ჩანს, რბენაში დახელოვნება დაკავშირებული ყოფილა მათს შრომით საქმიანობასთან. დახელოვნებულ და გაწვრთნილ მორბენლებს გაბატონებული კლასის წარმომადგენლები სხვადასხვა საქმისათვის იყენებდნენ, ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბასილ ზარზმელის „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

ვ. აფრიდონიძე

(დასასრული იქნება)

სასროლეთზე

უკვე კარგა ხანია დაიწყო მზადება რესპუბლიკის ტყვიით მსროლელთა ნაკრებმა ხალხთა საკავშირო III სპარტაკიადისათვის. მზადების პროგრამის ერთი ნაწილია რესპუბლიკის ნაკრების შეხვედრა მოსკოვის ოლქის მსროლელებთან, რომელიც თბილისში დაიწყო.

ამხანაგურ შეხვედრაში რესპუბლიკის ძირითადი გუნდის გარდა მონაწილეობენ ახალგაზრდა პერსპექტიული მსროლელები. შეხვედრა დაიწყო მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლით 50 მეტრზე. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მოიპოვა ვ. სალუქვაძემ. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი შედეგი, 553 ქულა არც თუ ისე მაღალია. მეორე ადგილზე 550 ქულით გავიდა მოსკოველი გ. კო[illegible]ხი, მესამეზე — ს. სტარკოვი (თბილისი) — 541 ქულა.

ქალებს შორის ამავე ვარჯიშში [illegible]70 ქულით გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის რეკორდსმენმა რ. როშინამ (მოსკოვი). მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად 260 და 257 ქულით არიან თბილისელები ვ. ოვსეენკო და ვ. ტიმოფეევა. გუნდურ ჩათვლაში 2404 ქულით გაიმარჯვეს თბილისელებმა. მოსკოველებმა 1885 ქულა დააგროვეს.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დინამოელ სპორტის ოსტატს დ. პილიევს. ეს ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენი, წარსულში რესპუბლიკის რეკორდსმენი და ჩემპიონი, ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო აქვეითებს თავის შედეგებს. ამ შეხვედრაზე მან ძლივს შეასრულა პირველი თანრიგი. როგორც სპორტსმენთან საუბარში გამოირკვა, ამის მიზეზი სავარჯიშო დროის უქონლობაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ საჭიროა ზომები მიიღოს, რათა ეს სპორტსმენი თავის ადრინდელ ფორმას დაუბრუნდეს.

თ. ხერხეულიძე,
სპორტის ოსტატი.

ახალი სპორტული დარბაზი

წელს დაბა წნორის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სასკოლო სპორტდარბაზის მშენებლობაში. მოზარდების ხელებით არა ერთი სამუშაო იქნა შესრულებული და დარბაზი ვადამდე ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ. ახლა მათ შეუძლიათ ზამთარშიც ივარჯიშონ კალათბურთში, ფრენბურთში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში...

სკოლის კოლექტივს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ VII-IX კლასების 290 მოსწავლიდან თითქმის ყველა ჩაბმულია სპორტის ამა თუ იმ სექციაში. ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის გუნდები ყველა კლასსა ჰყავს და ხშირად მართავენ ასპარეზობას. ბევრი მათგანი რაიონის ნაკრებშიც შედის. ამ ნაყოფიერ საქმიანობაში თავისი წვლილი შეაქვს ფიზკულტურის მასწავლებელს ფ. ჯავაშვილს, რომელიც 20 წელია ემსახურება საყვარელ საქმეს.

?გვეკითხებიან, ვპასუხობთ!

ჩვენი გაზეთის მკითხველი დ. ბუხაიძე (ქუთაისი) გვთხოვს „ლელოს" ფურცლებზე დავბეჭდოთ წერილი ცნობილი უნგრელი მოკრივის, ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის ლასლო პაპის ბიოგრაფიისა და მისი მომავალი პერსპექტივების შესახებ. დ. ბუხაიძის თხოვნას ეხმაურება „ნოვოსტის" სააგენტოს კორესპონდენტის ა. ბორისოვის წერილი. ლასლო პაპის შესახებ აგრეთვე კითხვით მივმართეთ ჩვენთან სტუმრად მყოფ უნგრელ ჟურნალისტს დ. ვადს, რომელმაც გვიამბო ლ. პაპის მომავალი გეგმების შესახებ.

ქვემოთ ვბეჭდავთ ა. ბორისოვისა და დ. ვადის წერილებს.



მამა მაღალი და ღონიერი კაცი იყო, ვაჟი კი პატარა და სუსტი. მამა პირველი ძალოსანი იყო სოფელში, ვაჟი — ყველაზე სუსტი კლასში. მაგრამ ორივე გამოირჩეოდა საოცარი გამბედაობით, განსაკუთრებით შვილი, რომლის შეუპოვრობას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მის საწოლზე ყოველთვის ეკიდა მამის მძიმე ხელთათმანები, ვინაიდან მას სურდა გაეკეთებინა ის, რაც მამამ ვერ მოახერხა — ყოფილიყო უნგრეთის პირველი მოკრივე.

რინგზე პირველი გამოსვლის შემდეგ მას ამხანაგებმა და მეგობრებმა ურჩიეს დაენებებინა თავი ამ სახეობისათვის და მაგიდის ჩოგბურთისათვის მოეკიდა ხელი. მაგრამ ლასლო პაპი ამხანაგებისა და მეგობრების რჩევას ყურადღებას არ აქცევდა და 20 წლის ასაკში ბუდაპეშტის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე გახდა. მცირე ხანს შემდეგ იგი მთელს უნგრეთში აღიარებული სპორტსმენი იყო. ბუნებას იგი არ დაუჯილდოებია ზრგე ტანით ან განსაკუთრებული ღონით, მაგრამ დიდი ხნის მუყაითი ვარჯიშის შემდეგ ლასლომ გამოიმუშავა სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა, დისტანციის კარგი გრძნობა და უძლიერესი დარტყმა.

გადიოდა დრო და სულ უფრო ხშირად შეხვდებოდით ლასლო პაპს გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, მაგრამ ნამდვილი ტრიუმფი მხოლოდ 1948 წელს მოვიდა, როცა ლონდონის ოლიმპიადაზე ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. 1949 და 1951 წლებში იგი ევროპის ჩემპიონი გახდა და გულმოდგინედ ემზადებოდა, დაეცვა თავისი მაღალი ტიტულები. სპეციალური წვრთნის გარდა პაპი თამაშობდა ფეხბურთს, ცურაობდა, საწვრთნელ ბრძოლებში ყოველთვის ცდილობდა მოწინააღმდეგედ აერჩია მძიმე წონის მოკრივე, რომელიც მასზე 20-25 კილოგრამით მეტი იყო.

ჰელსინკის ოლიმპიადაზე ლ. პაპმა კვლავ მოიპოვა ჩემპიონის სახელი. იგი აგრეთვე უძლიერესი იყო მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზეც. 100 ბრძოლიდან პაპმა მხოლოდ სამჯერ იგემა დამარცხება — პოლონელ პეტშიკოვსკისაგან და საბჭოთა მოკრივეების — ოგურენკოვისა და ტიშინისაგან.

სამი ოლიმპიური ოქროს მედალი — ასეთი წარმატება არა ჰქონია არც ერთ მოკრივეს მსოფლიოში. უფრო მეტიც, უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში ვერავინ შეძლო თუნდაც ორჯერ მოეპოვებინა ოლიმპიური ჩემპიონის სახელი.

უნგრეთში ლ. პაპს არა ჰყავდა შესაფერი მეტოქეები და მოკრივეთა ეროვნული კავშირის ნებართვით იგი პროფესიონალებში გადავიდა. ლ. პაპის უძლიერესმა დარტყმებმა გააცამტვერა ლეგენდა იმის შესახებ, რომ მოყვარულ მოკრივეებს ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ პროფესიონალური კრივის წარმომადგენლებისათვის. ორი ათეული ბრძოლა ჩაატარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პროფესიულ რინგზე საფრანგეთის, ამერიკის, დასავლეთ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო მოკრივეებთან და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ევროპის მოკრივეთა კავშირის საქმოსნები ხელს უშლიდნენ უნგრელ სპორტსმენს ჩაბმულიყო ევროპის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში და ლ. პაპმა მხოლოდ 36 წლის ასაკში განახორციელა თავისი ოცნება: იგი კონტინენტის ჩემპიონი გახდა საშუალო წონაში.

შესანიშნავი უნგრელი სპორტსმენი მხოლოდ მოკრივე როდია. იგი ამავე დროს მწვრთნელიცაა. რომის ოლიმპიური თამაშებისათვის მან მოამზადა დ. ტერეკი, რომელმაც XVII თამაშებში მოიპოვა უძლიერესის სახელი.

ლ. პაპი კინოაქტიორიცაა. ალბათ ყველას ახსოვს მისი თამაში უნგრულ ფილმში „მძიმე ხელთათმანები". გამოჩენილ მოკრივეს პაპს აქვს ერთი ოცნება — გამრავლოს თავისი ოლიმპიური მედლების კოლექცია, რაშიც მას უნდა დაეხმაროს თავისი შვილი. (მას აგრეთვე ლასლო პაპი ჰქვია). ვაჟის საწოლზე ჰკიდია მამის მძიმე ხელთათმანები. მამა ძლიერია და ღონიერი, ვაჟი ჯერ კიდევ პატარა და სუსტი. მაგრამ გავა წლები...

ა. ბორისოვი,
„ნოვოსტის" სააგენტოს კორესპონდენტი.

• • •

დ. ვადის ნაამბობიდან

განთქმულმა უნგრელმა მოკრივემ ლასლო პაპმა, რომელიც ევროპის ჩემპიონია საშუალო წონის პროფესიონალებს შორის, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონ პეტერ მიულერთან შეხვედრის თაობაზე, ეს მატჩი უნდა გაიმართოს 1963 წლის 11 იანვარს.

ეს ლასლო პაპის უკანასკნელი გამოსვლა იქნება. ამით პაპი ამთავრებს თავის კარიერას.

მიულერთან მატჩის ჩატარების შემდეგ პაპი კრივს თავს ანებებს. იგი სამუდამოდ დასახლდება უნგრეთში და მთელ თავის ცოდნას ახალგაზრდა მოკრივეებს გადასცემს.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ევროპის ჩემპიონობისათვის ბრძოლის მომენტი ლ. პაპსა და ფრანგ ი. ანებეს შორის, რომელიც უნგრელმა სპორტსმენმა ნოკაუტით მოიგო. ქვემოთ სურათზე აღბეჭდილია ამ ბრძოლის საბოლოო შედეგი.

ევროპას არა სჯერა

ლისტონ-პატერსონის მატჩმა 8 მილიონი დოლარი მოგება მოუტანა ამერიკულ ასოციაცია „ბოქსინგ ბიზნესს". მატჩის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულების ძალით ლისტონმა მიიღო 400.000 დოლარი, ხოლო მისმა მეტოქემ 1,5 მილიონი დოლარი.

მსოფლიო ჩემპიონი გახდა ყოფილი კატორღელი, რომელიც შეიარაღებული თავდასხმისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული. სონი — ასე ეძახიან მეტსახელად ლისტონს, ნამდვილად კი მას ჩარლი ჰქვია. მისი სიმაღლე 179 სანტიმეტრია და 105 კილოგრამს იწონის. თმა და კანი შავი აქვს. თვალები ყავისფერი. ცოლიანია და ცხოვრობს ფილადელფიაში. ყველაფერი ეს აღნიშნულია სან ლუისა და ფილადელფიის პოლიციური სამართველოს კარტოთეკაში.

ლისტონი უსიამოვნო შესახედავია და მკაცრი გამოხედვა აქვს. ლისტონი დაიბადა 1932 წელს, ლიტლ როკიდან 6 კილომეტრით დაშორებულ ბამბეულის პლანტაციაში. ჩარლის მამას თავისებური რეკორდი აქვს — 25 შვილი ჰყავს...

ახლა უკვე ხელმოწერილია კონტრაქტი რევანშზე, რომელიც კოლოსალურ მოგებას მოიტანს. გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ როცა მოსალოდნელია დიდი ფულადი შემოსავალი, პატერსონი აგებს, ხოლო შემდეგ ყოველთვის იგებს მატჩ-რევანშს. მოგაგონებთ, რომ ასე იყო პატერსონ-იუჰანსონის მატჩში. მესამე რაუნდში იუჰანსონმა ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე: მაშინ ყველა თვლიდა, რომ დროა პატერსონმა მიატოვოს რინგი. მაგრამ ზუსტად ერთი წლის შემდეგ პატერსონმა ბრწყინვალე რევანში აიღო.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი. ლისტონთან შეხვედრის წინ პატერსონი ხმამაღლა გაიძახოდა, რომ თუ იგი შემთხვევით წააგებდა მატჩს, მაშინ მატჩ-რევანშში აუცილებლად დაიბრუნებდა უძლიერესის სახელს. ხომ არ არის აქ მეტად საეჭვო დამთხვევა? ამერიკული კრივი ხომ ყოველთვის საეჭვო პიროვნებათა ხელში იყო, რომლებიც წარსულში არა ერთხელ ეწეოდნენ ბნელ საქმიანობას?

ევროპელი სპეციალისტები და ჟურნალისტები აცხადებენ, რომ უნდა დაველოდოთ პატერსონ-ლისტონის მატჩ-რევანშამდე. მხოლოდ მაშინ გამოირკვევა მოტყუებული იყო თუ არა ამერიკელი მაყურებელი ლისტონის მოგებით. თუკი პატერსონი მოიგებს, მაშინ გაიმართება მესამე შეხვედრა. ყოველგვარი ეჭვი გაიფანტება მეორე შეხვედრის შემდეგ. მით უმეტეს, რომ ფრანს პრესის სააგენტომ მიიღო ცნობა ნიუ-იორკიდან, სადაც იტყობინებიან: ნიუ-იორკის შტატის კრივის კომისიამ არ ცნო შედეგი და ლისტონის გამარჯვება. დაიწყო გამოძიება, გამოძახებულ იქნენ საიდუმლო მოწმეები, რომლებმაც უნდა მისცენ ჩვენება იმის შესახებ, თუ რა საიდუმლო კავშირი არსებობს მსოფლიოს ახალ ჩემპიონსა და დანაშაულებრივ სამყაროს შორის, რომელიც კონტროლს უწევს ამერიკულ კრივს.

გ. გიგიტაშვილი

კარგი შედეგი

ამას წინათ, ავსტრალიის ქალაქ პერტის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაზე შესანიშნავი შედეგი აჩვენა ახალზელანდიელმა მძლეოსანმა ქალმა გ. ჩემბერლეინმა, რომელსაც 800 მ რბენაში მსოფლიოში მესამე შედეგი — 2.01,4 აქვს. ამჯერად იგი ძალებს ცდიდა ერთ მილზე (1609.34 მ) რბენაში. აღნიშნული მანძილი გაირბინა 4.41,4-ში და 3,6-ით გააუმჯობესა დ. ლეზერის მსოფლიო მიღწევა. მ. ჩემბერლეინის ეს მაჩვენებელი 1500 მეტრზე შეესაბამება 4.20-ს და ბევრ ვაჟს შემურდებოდა.

პორტუგალელთა ახალი მწვრთნელი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ბელა გუტმანი ურუგვაიდან ნაწყენი დაბრუნდა. „მე კარგი დამოკიდებულება მქონდა ფეხბურთელებთან, მაგრამ საქმეს მიფუჭებდნენ გუნდის მეპატრონეები. განა ეს დასაშვებია, რომ ტაიმებს შორის თამაშის გარჩევას 11 მოთამაშესთან ერთად 11 გარეშე პირიც ესწრებოდეს?". — განაცხადა მან.

გუტმანი სათავეში ჩაუდგა ლისაბონის „სპორტინგს", რომელსაც პორტუგალიის ჩემპიონატში 6 ტურის შემდეგ 10 ქულით პირველი-მეორე ადგილები უკავია „ბენფიკასთან" ერთად, მაგრამ ამას გარდა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გამოიყენოს გუტმანის გამოცდილება უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვის — იგი ეროვნული ნაკრების პირველ მწვრთნელადაც დანიშნეს.

გუტმანი ნაკრების ჩამოყალიბებისას ბირთვად იყენებს „ბენფიკას", რომლის მოთამაშეების დიდი უმრავლესობა მისი აღზრდილია.

გადააჩვიეს

იტალიელი მოკრივე ნ. მორინი უკანასკნელ ხანებამდე ძალზე პატივმოყვარე იყო. მას თავდავიწყებამდე უყვარდა მილოცვების მიღება, ავტოგრაფების დარიგება, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მას ხელი აღებინა ავტოგრაფომანიაზე.

მორიგი გამარჯვების შემდეგ მორინი ერთი საათის მანძილზე არიგებდა ავტოგრაფებს, მეორე დღეს კი მოკრივეს შეატყობინეს, რომ უცნობმა მამაკაცმა ბანკში წარადგინა მის მიერ ხელმოწერილი ჩეკი 30 ათას ლირაზე და მთლიანად გაიტანა სალაროდან ეს თანხა. როგორც გამოირკვა, მორინის ერთ-ერთმა „თაყვანისმცემელმა" მას სუფთა ქაღალდის ნაცვლად ხელმოსაწერად შეაჩეჩა ბანკის ჩეკი.

რედაქტორი ი. უზულავა.

დღეს!
სპორტის სასახლე
ზამთრის საკავშირო პირველობა
კალათბურთში
დასაწყისი დილით 11,
30 წ. საღამოს 17 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-36-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04265